ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთ „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი უველგან 10,000 მან.
redakcia და კანტორა: ტფილისი, ხახალის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის უთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან.
4 „ 100,000 „
სამგლოვიარო განცხადებ.
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

№ 458 სამშაბათი, მაისის 1 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

გაუმარჯოს პირველ მაისს!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობას!

მაისის პირველიდან

„ტრიბუნა“

ელირება:

თვეში . . . . . 400.000 მან.
ცალკე ნომერი 20.000 „

მშრომელთა დღესასწაული

დღევანდელი დღე ბრწყინვალე დღეა მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ცხოვრებაში!

დღევანდელ დღეს ახმაურდება მთელ მსოფლიოზე მშრომელი ხალხი, პროლეტარიატი და ამცნობს მთელი ქვეყნის მძარცველ-მყვლეფელებს თავის ძალას!

პირველი მაისი მშრომელთა დღესასწაულია, რომელიც მატებს ძალას და ენერგიას ბრძოლისას მჩაგვრელების წინააღმდეგ.

დღეს უნდა გაისმას საბჭოთა რესპუბლიკებში მშრომელი ხალხის თავისუფალი მქუხარე ხმა, რომელმაც თავზარი უნდა დასცეს ყველა ქვეყნის ავაზაკებს, მყვლეფელებს და მოაგონოს მათ, რომ ახლოვდება დრო, როდესაც პასუხი უნდა აგონ ჩადენილ ბოროტებისთვის!

პირველი მაისი!

ეს ჩვენი აღდგენის დღეა, რომელიც გვაკავშირებს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატთან, ვიზიარებთ საერთო სიხარულს და უწვდით ერთმანეთს ძმურად ხელს!

პირველი მაისი გვაგონებს ყველა ქვეყნის მშრომელთ, რომ უსამართლობის ბოსპობა, მშრომელი ხალხის ძარცვა-ყვლეფის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ საერთო ძალით, ჩვენის სრულის შეგნებით, შეკავშირებით და ერთი მიზნის განხორციელებით.

ეს მიზანია სოციალიზმი!

მხოლოდ სოციალიზმის დროს არ შეიძლება ჩაგვრა, მონობა!

დღევანდელ დღეს გაორკეცებულის სიხარულით შეხვდება ყველა პატარა ერი, რომელიც მძიმე ჩაგვრა-მონობას განიცდიდა შავ-ბნელ თვითმპყრობელობისაგან და ამ თვითმპყრობელობას დაალწია თავი საბჭოთა წეს-წყობილების დამყარებით!

დღეს თუ თავისუფლად ვგრძნობთ თავს თავისუფალ საბჭოთა საქართველოში, ეს მშრომელთა ხანგრძლივი ბრძოლის ნაყოფია.

მთელ ქვეყანაზე მხოლოდ ერთად-ერთი ძალა არის, რომელიც იხსნის ყველა ჩაგრულს და უფლებას აყრილს.

ეს ძალა არის მშრომელი ხალხის საბოლოო გამარჯვება.

სანამ არ დაძარცხდება ყველა ქვეყნებში გაბატონებული კლასი, ბურჟუაზია, კაპიტალისტები, რომელთა ბედნიერება აგებულია მშრომელთა უბედურებაზე და ცრემლებზე, მანამ არ მოისპობა ჩაგვრა, უსამართლობა და ტირილი!

პირველი მაისის დღესასწაული გაბატონებული კლასის სასიკვდილო ლახვარია, თავზარდამცემი. ხოლო მშრომელი კლასის აღმაფრთოვანებელი, ძალის მიმცემი.

დღევანდელი დღესასწაულით ვაგონებთ ჩვენს კლასობრივ მტრებს, რომ არ აიღებთ ხელს ბრძოლაზე, სანამ არ ჩაეყრება მკვიდრი საძირკველი მუშათა ხელისუფლებას!

მაშ გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხის საერთო კავშირს, ძმობას, თავისუფლებას, სადაც არ ექნება ადგილი ერთის ბატონობას მეორეზე!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს პროლეტარიატის საერთაშორისო დღეს **პირველ მაისს!**

პ. ახალკაცი.

ს ᲛᲐᲘᲡᲝ.

პირველი მაისი მომავალი სოციალიზმის დღესასწაულია და ამიტომ საერთაშორისო სოლიდარობის დღეც. დღეს მთელი ქვეყნის მუშები გამოვლენ ქუჩებში სადემონსტრაციოთ. დღეს გაიმართება სოციალისტურ ძალთა დათვალიერება, მშრომელთა რევოლიუციონურ არმიების აღლუმი მსოფლიო მასშტაბით. დღეს შეწყდება ქარხნების გუგუნი დედამიწის ყველა ქალაქებში და მშრომელთა მასსები ქუჩებს მოეფინაბა წითელი დროშებით.

სხვა არ არის ასეთი დღესასწაული. არც ყოფილა არასოდეს არც ერთი უქმე, არც ერთი დღე არ იყო და არ არის ისეთი, რომელსაც მთელი კაცობრიობა დღესასწაულობდეს ერთ და იმავე დღეს. ასეთია მხოლოდ პირველი მაისი, დღესასწაული მშრომელთა სოლიდარობის.

პირველ მაისს ერთმანეთს უძმობილდებიან სხვა და სხვა ქვეყნის შრომის შვილები. მათ ერთმანეთი არ უნახავთ, ვერც ნახავენ ვერასდროს, მაგრამ მაინც გრძნობენ ნათესაობას, ერთობას.

დიდია ზეიმი სამაისო, რადგან დიდია მიზანი მშრომელთა სოლიდარობისა. მაზედ დიდი, მაზედ მაღალი და ფაქიზი არაფერი მოსწრია ჯერ ისტორიას, არც მოესწრება. გასაკვირი არაა, რომ ასეთი მაღალი და დიდი იდეალის გასახორციელებლად ემზადება მთელი ქვეყნის მშრომელთა კლასი ამდენი ხანია.

დღეს ნამდვილ სოციალისტებთან ერთად ბევრი გამყიდველი და მატყუარა გამოვა ქუჩებში მშრომელთა გულის მოსაგებად, მათ გადასაბირებლად, რომ სწორი გზისაგან გადაახვევინოს და მიზანს ააცდინოს. ამიტომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ როგორ უყურებს მუშებსა და გლეხებს, ან ვის რისათვის უნდა მათი საერთაშორისო სოლიდარობა. ყველას ხომ არ უნდა დაუჯეროთ და გავჰყვეთ. ვინც სიტყვებიო მოგვთაფლავს.

გლეხობა და მენშევიკები

მენშევიკების აზრით გლეხები გაუსწორებელი რეაქციონერები არიანო და აუცილებელია მათი ძალით დამორჩილება, საჭიროა მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები, რეპრესიები. როდესაც საქართველოს მშრომელთა გლეხობამ მენშევიკური მთავრობისაგან მიწა ვერ მიიღო და იმედი გაუცრუვდა,—ის აუჯანყდა ამ მთავრობას. მენშევიკურმა მთავრობამ ეს ვანდეად, კონტრრევოლიუციად მონათლა და დამსჯელი რაზმები მიუსია მშრომელ გლეხობას. „მთიან მაზრების რეაქციონურ გლეხობასთან ბრძოლაში, ჩვენ ვეყრდობით სხვა მაზრების მოწინავე გლეხობისაო“, ამბობდა ნ. ჟორდანია (იხილე „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია“, გამოცემა საოლქო კომიტეტისა) ასეთი პოლიტიკით მენშევიკებმა არამც თუ ეროვნული შუღლი გააძლიერა, თვით საქართველოს სხვა და სხვა კუთხის გლეხობა გადაამტერა ერთი-მეორეს მაგ. ქართველებს და კახელებს შეაძულა იმერლები, და სხვა. როდესაც არჩევნებში დემოკრატიული ხრიკებით ვერას გახდებოდა სოცია-დემოკრატიული პარტია და მარცხდებოდა, მაშინ ძალას მიმართავდა, მიუსევდა გვარდიელებს და ხალხს ძალად მიაცემინებდა ხმას პირველი ნომრისათვის. ერთი სიტყვით, ან დემოკრატიული ხრიკები და მოტყუილება ან ძალადობა,—სხვაგვარი მოპყრობა არ ახსოვს საქართველოს გლეხობას მენშევიკებისაგან.

„თუმცა ჩვენ არ უნდა გავეკვირვებიეთ გლეხობის აჯანყებას, მაგრამ ჩვენ იმდენად დაგვავიწყდა მარქსიზმი და დაუჯერეთ „ესერულ“ აზრებს, რომ დღემდე ზოგიერთ ჩვენში ამ გლეხებს იღებს, როგორც რევოლიუციონერებს და დიდის ყოყმანით თანხმდებიან მათ წინააღმდეგ რეპრესიების მიღებაზედ. დროა ბოლო მოვუღოთ ჩვენს სოციალ დემოკრატიულ პარტიაში ნაროდნიკულ ილუზიების ბატონობას, [illegible] [illegible] მარქსს და მაგრად დავდგეთ გლეხების რეაქციისაგან რევოლიუციის დაცვის ნიადაგზედო“. აი რას ურჩევს პარტიას მისი ბელადი ნ. ჟორდანია იმავე ბროშურაში. (14 გვ.) გლეხების წინააღმდეგ რეპრესიები აუცილებელია, აქ ყოყმანი არ შეიძლება, ამას გვავალებს მარქსისტული მოძღვრებაო. და სახელოვან გვარდიას არა ერთხელ ჩამოუვლია საქართველოს მაზრები ცეცხლითა და მახვილით.

გლეხობა და ბოლშევიკები

როგორ უყურებენ ბოლშევიკები გლეხობას? ესენიც ხომ მარქსისტები არიან? დიაღ არიან, მაგრამ სულ სხვა შინაარსს სდებენ მარქსის მოძღვრებაში. უწინ არც ბოლშევიკები ენდობოდენ გლეხს და ბევრი შეცდომა ჩაიდინეს, მაგრამ როცა დაინახეს, რომ მშრომელი გლეხობა არაა გაუსწორებელი რევოლიუციონერი და მას პროლეტარი ურჩევნია ვაჭარსა და მემამულეს, როცა დარწმუნდენ ბოლშევიკები, რომ ღარიბი გლეხობა რევოლიუციის მხარეზეა, მაშინ გამოასწორეს შეცდომა და გლეხებს ექცევიან არა როგორც მოწინააღმდეგეს, არამედ როგორც მოკავშირეს და თანამებრძოლს.

„ჩვენი მიზანია—მხედველობაში მივიღოთ განსაკუთრებული პირობები გლეხთა ცხოვრებისა, ვისწავლოთ მათგან საშუალება უკეთეს წესწყობილებაზედ გადასვლისა და **არავინ გაბედოს ბრძანებლობაო!**“ აი რას ურჩევდა ლენინი კომპარტიის ყრილობას 1919 წ. მარტში. არავინ გაბედოს გლეხებზედ ბატონობა და ბრძანებლობა, ჩვენ მათგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთო. მეორე ადგილას იმავე სიტყვაში ლენინი ამბობს, რომ ძალადობა საშუალო გლეხობის წინააღმდეგ უდიდესი სისულელე და იდიოტობა იქნებოდა, რომ ასეთ გზას შეგნებულად მხოლოდ პროვოკატორი მიმართავდაო.

შეადარეთ ჟორდანიას და ლენინის სიტყვები: ერთი მოითხოვს გლეხობის წინააღმდეგ სასტიკ ზომებს, ძალით დამორჩილებას და უკვირს, რომ ზოგიერთი სოც.-დემოკრატი ასეთ ზომებზე ყოყმანით თანხმდებოდა. მეორე კი ასეთ ძალადობას უდიდეს სისულელედ და პროვოკატორობად სთვლის და მოითხოვს, რომ არავინ გაბედოს გლეხებზედ ბრძანებლობა.

ამავე აზრს იცავენ სხვა ხელმძღვანელი ბოლშევიკებიც. „მუშების და გლეხების კავშირშია ძალა საბჭოთა ხელისუფლებისაო“, ამბობს კამენევი.

„ჩვენ არა ᲛᲐᲠᲢᲝ უნდა გადავიხაროთ გლეხობის და მისი სამეურნეო მოთხოვნილებათა მხარეზე, არამედ თავი უნდა მოვიხაროთ და, თუ საჭიროა, თაყვანი ვსცეთ იმ გლეხის სამეურნეო მოთხოვნილებებს, რომელიც მისდევს ჩვენ პროლეტარიატს და რომელიც მოგვიპოვებს გამარჯვებასო“, განაცხადა კომპარტიის მეთორმეტე ყრილობაზედ ზინოვიევმა.

„თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ პროლეტარიატი დიდხანს ვერ შეინარჩუნებს სახელმწიფო ძალა-უფლებას, თუ მჭიდრო პოლიტიკური და სამეურნეო კავშირი არ ექნა სოფლის უმრავლესობასთანაო“, სწერს ლასინი.

ასეთია დღეს ბოლშევიკების აზრი გლეხობაზედ და ამიტომაა რომ ჩვენც მათთან ვართ და ერთად ვიბრძვით მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დასაცავად და გასამტკიცებლად.

ჩვენ და გლეხობა.

სოციალ-დემოკრატია იმ თავითვე არ ენდობოდა გლეხობას, სთვლიდა მას ბურჟუაზიული კლასის ნაწილად და პროლეტარიატის მოწინააღმდეგეთ. აქედან წარმოიშვა მენშევიკების რეპრესიების პოლიტიკა გლეხობის წინააღმდეგ ჩვენში და ბოლშევიკების „რაზვიორსტკა“ რუსეთში პირველ ხანებში, ეგრედ წოდებულ „სამხედრო კომუნიზმის“ დროს.

შემდეგ ბოლშევიკებმა შესცვალეს ტაქტიკა გლეხობის მიმართ, რაკი დაინახეს, რომ მარტო პროლეტარიატი დიდხანს ვერ გაუმკლავდებოდა ურიცხვ მტერს, მით უფრო, რომ ღარიბმა გლეხობამ სისხლით დაამტკიცა ერთგულობა რევოლიუციისადმი.

ჩვენ კი, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები, იმ თავითვე ვუმტკიცებთ ერთსაცა და მეორესაც, რომ მშრომელი გლეხობა ქალაქის მუშის ჭირში და მისი ბუნებრივი მოკავშირე რევოლიუციონურ ბრძოლაში. ჩვენ არ ვიცავდით და არ ვიცავთ გლეხობას საზოგადოთ. ჩვენ ვიცავთ გლეხობის—იმ ნაწილს, რომელიც საკუთარი შრომით ირჩენს თავს და არ სარგებლობს დაქირავებული შრომით, არ ეწევა სხვის ექსპლოატაციას. ესენია ულარიბესი და საშუალო გლეხობა. დანარჩენ შეძლებულ და მდიდარ გლეხებისაგან გასარჩევად ამათ ეწოდება **მშრომელი გლეხობა**. საქართველოში ყოველ ას გლეხზედ ეგებ ათი იყოს შეძლებული, დანარჩენი 90 ღარიბი მშრომელი გლეხობაა. აი ეს ნაწილი გლეხობისა მიგვაჩნია ჩვენ საიმედოთ სოციალისტური რევოლიუციისათვის პროლეტარიატთან ერთად, რომელიც ამ რევოლიუციის ავანგარდია.

ამ რიგად მშრომელი გლეხობა და პროლეტარიატი წარმოადგენს ერთ რევოლიუციონურ არმიას. პროლეტარიატი იმ დიდი არმიის ავანგარდია, მისი მოწინავე დამკვრელი რაზმია. მას მიჰყვება ბრძოლაში მშრომელი გლეხობა შრომის სუფევის, სოციალიზმის დასამყარებლად.

პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა ჩვენ მიგვაჩნია ერთი მშრომელთა კლასის ნაწილებად. პროლეტარიატი, ქალაქის მუშა უკეთეს პირობებშია გლეხთან შედარებით. ის სცხოვრობს ქალაქში, სადაც კულტურის და განათლების ცენტრია; ამიტომ გლეხზედ უფრო განვითარებულია გონებრივად. ქალაქის მუშები მუშაობენ დიდრონ ქარხნებში ასობით და ათასობით ერთად, ყოველ დღე შეხვდებიან ერთმანეთს სამუშაოზედ; ამიტომ მათი შეკავშირება, ურთიერთშორის შეთანხმება, საერთო გზით გამონახვა, ორგანიზაციის მოწყობა ძლიერ ადვილია.

გლეხობა კი გაფანტულია სოფლად, თითო მათგანი ეწევა დამოუკიდებელ მეურნეობას, ნაკლები ერთობა აქვთ ურთიერთშორის, ჩამორჩენილია გონებრივად და ამიტომ უფრო დამონებულია, უფრო დაჩაგრულია.

აშკარაა, ასეთ პირობებში ვინ უნდა იყოს მოწინავე, მაგალითის მაჩვენებელი და ხელმძღვანელი მთელი მშრომელთა კლასის: ესაა მისი უფრო დაწინაურებული ნაწილი, ქალაქის მუშები. მშრომელი გლეხობა მიჰყვებაᲔ მას და გიჟი იქნება, რომ შეგნებულად წინააღმდეგი გაუხდეს და საერთო მტერს—ბურჟუაზიას მიემხროს.

რა აქვთ საერთო მუშებსა და გლეხებს

რა აქვთ საერთო მუშებსა და გლეხებს. რატომ უნდა იბრძოლონ ერთად? ჩვენში ეს კითხვა გაკვირვებას გამოიწვევს. საქართველოს მუშები და გლეხები მუდამ ერთად იბრძოდენ. ეს კი არ მოხდებოდა, თუ საერთო ინტერესები არ ჰქონოდათ. ვინაც შემცდარი თეორიით ხელმძღვანელობდა და გლეხებს და მუშებს სხვა და სხვა კლასების ნაწილებად სთვლიდა, მისთვის, რა თქმა უნდა, ეხლა საჭიროა ამტკიცოს, რომ გლეხებსა და მუშებს შორის აუცილებელია მჭიდრო კავშირი, თორემ მუშურ-გლეხური სახელმწიფო დიდხანს ვერ იარსებებს.

ჩვენ და საქართველოს მშრომელი ხალხი არას დროს არ ვიზიარებდით ამ შემცდარ აზრს. თუმცა ჩვენი გლეხობის და მუშების უმრავლესობა მიჰყვებოდა და ეხლაც მიჰყვება იმ პარტიას, რომელიც ხსენებულ შემცდარ აზრს იცავს, მაგრამ ეს თეორია იმდენად შორსაა ცხოვრებისაგან, რომ ამ წმინდა პროლეტარულ პარტიის უმრავლესობას მუდამ შეადგენდა და შეადგენს გლეხობა. განა შეიძლება ერთ პოლიტიკურ პარტიაში ორი მოწინააღმდეგე კლასის ნაწილები იყოს გაერთიანებული და ისიც ისე, რომ პროლეტარიატის პარტიაში უმრავლესობას შეადგენდეს მისი კლასიური მოწინააღმდეგე? დეე, გვიპასუხონ ამაზედ მარქსისტებმა.

დაქირავებული მუშები და მშრომელი გლეხობა ის ნაწილია საზოგადოებისა, რომელიც თავის საკუთარი შრომით ირჩენს თავს, არ სარგებლობს დაქირავებული შრომით, არ ყვლეფს არავის. ყველა დანარჩენები,—კაპიტალისტები, მემამულეები და სხვები, ფართედ სარგებლობენ სხვისი შრომით ეწევიან სხვების ექსპლოატაციას და ამით სცხოვრობენ.

მაშასადამე მუშები და გლეხები იმით განსხვავდებიან ბურჟუაზიისაგან, რომ საკუთარი შრომით ირჩენენ თავს. ისინი არ არიან დაინტერესებულნი დაქირავებული შრომის დავაში. პირ-იქით ბევრს მოიგებენ მისი გაუქმებით. ეს საერთო თვისება მუშებისა და გლეხების ასხვავებს მათ ექსპლოატატორთა კლასისაგან და ახასიათებს როგორც ერთ მთლიან მშრომელთა კლასს.

მეორე მხრით მუშები და გლეხები განიცდიან საერთო ეკონომიურ ჩაგვრას: ბურჟუაზია სცხოვრობს მათი ექსპლოატაციით. მუშებს ყვლეფენ ქარხნებში პირდაპირ: ამუშავებენ: ბევრს, აკეთებინებენ მეტს და ჯამაგირს აძლევენ ნაკლებს; ზედმეტ ღირებულებას კი თვითონ ხაზინები ილაგებენ ჯიბეში.

მშრომელ გლეხობასაც ართმევენ თავის ნაოფლარს კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგრამ სხვა გზით: პირდაპირ და არა პირდაპირი გადასახადებით. თუმცა გლეხი არ არის დაქირავებული ამიტომ მისი გაყვლეფა არ შეუძლია ბურჟუაზიას პირდაპირ ნაკლები ჯამაგირის მიცემით, მაგრამ ამას ის ახერხებს სახელმწიფოს საშუალებით. სახელმწიფო აწესებს პირდაპირ და არა პირდაპირი გადასახადებს (აქციზი, ბაჟი, ბანდეროლი და სხვა) და ამ გზით ითვისებს გლეხების ნაშრომს. ცხადია მშრომელი გლეხობა უფრო დაინტერესებული უნდა იყოს და არის მოსპოს ასეთი სახელმწიფო, რომელიც იარაღია ბურჟუაზიის ხელში მშრომელთა საყვლეფად და მათზედვე საბატონოდ. გლეხი პირდაპირ დაინტერესებულია თვითონ იყოს ქვეყნის ბატონპატრონი და მოსპოს ბურჟუაზიის ბატონობა, კაპიტალისტური სახელმწიფო, რომ ამით თავი გაინთავისუფლოს ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან. ეს კი წარმოუდგენელია, სანამ კლასები იარსებებს. მაშ მშრომელ გლეხთა ინტერესიც იმას მოითხოვს, რასაც პროლეტარიატის: კლასთა გაუქმება და სოციალიზმის დამყარება.

გარდა ეკონომიური ექსპლოატაციისა მუშები და გლეხები განიცდიან აგრეთვე საერთო პოლიტიკურ ჩაგვრას. სახელმწიფო ძალა-უფლება ბურჟუაზიის ხელშია კაპიტალისტურ ქვეყნებში და იყენებს მას როგორც პროლეტარების. ისე გლეხების წინააღმდეგ. ერთსაც და მეორესაც ძალით იმორჩილებს ბურჟუაზიული სახელმწიფო, ძალით ბატონობს მათზედ და ძალით ამუშავებს ზედ მეტს სხვის სასარგებლოდ. მაშ აქაც პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა დაინტერესებულნი არიან მოიშორონ თავიდან მოძალადე ბურჟუა-მემამულეები, დაამხონ მათი პოლიტიკური ბატონობა და თვითონ გახდენ ქვეყნის მმართველნი.

აკი ასეც მოხდა რუსეთში და ჩვენში. მუშებმა და გლეხებმა საერთო ძალ-ღონით ჩამოაგდეს ნიკოლოზი, შემდეგ ბურჟუაზიაც და დაამყარეს საკუთარი მუშურ-გლეხური საბჭოთა რესპუბლიკები.

ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების და მათი კავშირის, ფედერაციის არსებობა შეუძლებელია, რომ მუშებსა და გლეხებს შორის ერთობა არ იყოს მათი საერთო კლასობრივი ინტერესებით განმტკიცებული. მუშებისა და გლეხების ერთობა, მათი ურყევი კავშირი ერთად-ერთი საფუძველია, რომელზედაც ემყარება მშრომელთა დიქტატურა საბჭოთა რესპუბლიკებში. მაგრამ მარტო ეს არ კმარა ყველა ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობა, მათი კავშირი.

რა აქვთ საერთო სხვა და სხვა ქვეყნის მშრომელებს

რომ გლეხი და პროლეტარი ერთ ულელშია შებმული და ერთად უნდა იბრძოლონ თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად,—ეს ცხადია და ეხლა მაინც არავისათვის სადავო არ არის. მაგრამ მშრომელთა საბოლოო გამარჯვებისათვის, სოციალიზმის დამყარებისათვის არ კმარა მარტო ერთი, ან ორი ქვეყნის მუშებისა და გლეხების შეკავშირება. სოციალიზმის დამყარება არ შეიძლება მარტო ერთი ან ორ სახელმწიფოში. დღეს არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა, თუ სხვა ქვეყნებთან არ ექნა ეკონომიური ურთი-ერთობა. ყველა ქვეყნები აწარმოებენ ერთმანეთს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლას. კაპიტალისტური ქვეყნები ფულზედ, ოქროზედ ჰყიდიან საქონელს და მათი მიზანია არა ხალხის საჭიროების დაკმაყოფილება, არამედ მოგება. სოციალისტური ქვეყანა კი ასე ვერ მოიქცევა. გაცვლა-გამოცვლა სოციალისტურ ქვეყნებს შორისაც იქნება რასაკვირველია, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ ერთმა მხარემ მეტი მოიგოს და მეორე გაატყაოს, არამედ ხალხის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სოციალისტური წყობილების მიზანი ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა და არა მოგება. ამიტომ შეუძლებელია სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის სამეურნეო ურთიერთობა. უამისოდ კი, როგორც ვსთქვით, არც ერთი სახელმწიფოს არსებობა არ შეუძლია. ამიტომ არ შეუძლია არსებობა სოციალისტურ ქვეყანას კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. და ასევე არ შეუძლია არსებობა კაპიტალისტურ ქვეყანას სოციალისტურ ქვეყნებს შორის. საკმარისია ევროპის მთავარ სახელმწიფოებში სოციალიზმი დამყარდეს და დანარჩენი სახელმწიფოებიც იძულებული იქნებიან გადავიდენ სოციალისტურ წყობილებაზედ.

ამიტომაა. რომ მთავარ ქვეყნების კაპიტალისტები გაერთიანებული არიან და შეთანხმებით ძოქმედებენ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ ანტანტის სახით. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ არიან გლეხები და მუშები თავისუფლები; ისინი ყველგან იჩაგრებიან როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად და ყოველგვარად. ყველა ქვეყნებში მუშებსა და გლეხებს სჩაგრავს ბურჟუაზია კაპიტალისტური სახელმწიფოს და კერძო საკუთრების საშუალებით. აი რა აქვთ საერთო ყველა ქვეყნის მშრომელებს; მათ ყავთ საერთო მტერი ესაა კაპიტალისტური წესწყობილება კერძო საკუთრებაზედ დაფუძნებული და ბურჟუაზიული სახელმწიფო.

გარდა ამისა ერთი ქვეყნის ბურჟუაზია ეხმარება მეორე ქვეყნის ბურჟუაზიას იქაური მუშებისა და გლეხების დასამორჩილებლად და გასაყვლეფად. ასე, მაგალითად, რუსეთის ბურჟუაზიას დაეხმარა ევროპის სახელმწიფოები ჯარით, ფულით და იარაღით, რომ რუსეთში ბურჟუაზიული წესწყობილება აღედგინა. მაგრამ რუსეთის მუშებისა და გლეხების ერთობამ დიდის გაჭირვებით გაუძლო მათ იერიშებს, გაიმარჯვა მათზედ და შეინარჩუნა ძალაუფლება: დღეს საბჭოთა რესპუბლიკებში მშრომელთა ბატონობაა, მაგრამ სოციალიზმი ვერ დავამყარეთ იმიტომ, რომ სხვაგან ყველგან კაპიტალი მეფობს.

აშკარაა კაპიტალიზმის განადგურება და სოციალიზმის დამყარება არ შეუძლია ერთ ქვეყანას. ამისათვის აუცილებელია შეთანხმდნენ და ერთად შეუტიონ საერთო მტერს ყველა ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა. როგორ და რა საშუალებით?

ინტერნაციონალი.

საერთო მტრის წინააღმდეგ რომ საერთო ფრონტია საჭირო, ამას ბევრი მტკიცება არ ესაჭიროება. როგორ მოვახერხოთ და შევაკავშიროთ ერთად სხვა და სხვა ქვეყნების მშომელთა კლასი? ამის საშუალებას იძლევა ყველა ქვეყნების მშრომელთა საერთაშორისო სარევოლიუციო ორგანიზაცია, **ინტერნაციონალი**. ინტერნაციონალი არის ყველა ქვეყნის მშრომელთა მებრძოლი ორგანიზაციების გამაერთიანებელი და ხელმძღვანელი ცენტრი. ინტერნაციონალის ირგვლივ იკრიბებიან ყველა ქვეყნის მუშები და გლეხები, ემორჩილებიან მის საერთო სახელმძღვანელო დირექტივებს და ემზადებიან საერთო ერთდროულ შეტევისათვის. ინტერნაციონალს ირჩევენ ყველა ქვეყნის რევოლიუციონურ პარტიების წარმომადგენელთა კონგრესზედ (ყრილობაზედ).

მაგრამ სამწუხაროთ ამ საკითში არ არის ჯერ მიღწეული სრული თანხმობა სხვა და სხვა პარტიებს შორის. არსებობს სხვა და სხვა ინტერნაციონალი. მაგ. მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალი სოციალ დემოკრატებისა და მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი.

პირველი ორი ინტერნაციონალი ვერ გამოხატავენ მშრომელთა კლასის რევოლიუციონური გზით კაპიტალიზმის დანგრევას და მომხრენი არიან ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის, შეთანხმების. ეს შემთანხმებლები არწმუნებენ მუშებს, რომ სოციალისტური რევოლიუცია თავისით მოვა ან სულ არაა საჭირო. პირიქით საჭიროა კაპიტალისტებთან პოლიტიკური თანამშრომლობა, მათთან კოალიცია, რომ საერთო ძალ-ღონით აღვადგინოთ ომიანობისაგან შერყეული კაპიტალისტური მეურნეობა და შემდეგ კაპიტალიზმი პირდაპირი განვითარებით თვითონ გადავა ანუ გადაკეთდება სოციალიზმადო. ასეთია დედა-აზრი მათი მოქმედებისა.

ასეთი გზა არაა სწორი და მისაღები მშრომელთათვის. პირიქით მათი დამღუპველია. ამ გზით რომ ვიაროთ, ვერასოდეს ვერ ველირსებით შრომის განთავისუფლებას კაპიტალიზმის უღლისაგან, ვერასოდეს ვერ დავამყარებთ სოციალიზმს. რა საფიქრებელია, რომ კაპიტალიზმი თავისთავად გადაკეთდება სოციალიზმად ან რომ კაპიტალისტები შეუთანხმდებიან სოციალისტებს მშრომელთა სასარგებლოდ? ან რა სისულელეა ჯერ დასუსტებული, შერყეული კაპიტალიზმის აღდგენაზედ ზრუნვა, რომ შემდეგ მის დანგრევას შევუდგეთ? რომელი ჭკვათა მყოფელი სცდება დასუსტებული მტერი ჯერ გააძლიეროს და შემდეგ ბრძოლა გაუმართოს? პირიქით, მტერს მაშინ უნდა უშოვნო დრო და ეკვეთო, როცა ის მოისუსტებს. ასეთ მდგომარეობაშია კაპიტალისტური ქვეყნები დღეს ომის შემდეგ. როცა ის აღდგება და გამაგრდება, მაშინ გაცილებით უფრო ძნელი იქნება მისი დამარცხება. რამდენსაც მეტს განვითარდება კაპიტალიზმი, მით უფრო მეტ საშუალებებს გამონახავს შექმნის მშრომელთა მასსების დასამორჩილებლად.

მაშასადამე საჭიროა აქტიური მოქმედება, რევოლიუციონური ბრძოლა, ბრძოლა თავგანწირული და შეუპოვარი, რომ დაინგრეს კაპიტალისტური ქვეყანა და ავაგოთ ახალი ქვეყანა სოციალისტურ საფუძვლებზედ. ამას ვქადაგებდით ჩვენ მთელი ოცი წლის განმავლობაში და ვუმტკიცებდით სოციალ-დემოკრატებს.

დღეს ამ რევოლიუციონურ გზას ადგია მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი. მის გარშემო იკრიბება ყველა ქვეყნის მშრომელთა უფრო აქტიური და რევოლიუციონური ნაწილი. მათთან ვართ ჩვენც, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები და მასთან უნდა იყოს ყველა, ვისაც გულწრფელად სწადია მუშათა განთავისუფლება, ვისაც სწამს სოციალიზმი და უნდა იბრძოლოს მის დასამყარებლად.

ამ რიგად ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ შიგნით საჭიროა მუშათა და გლეხთა მტკიცე ერთობა საბჭოთა რესპუბლიკების დასაცავად და საკუთარი მეურნეობის განსავითარებლად; გარედ კი საჭიროა ყველა ქვეყნის მშრომელთა ერთიანი ფრონტის შექმნა მესამე ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის მოსახდენად.

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მტკიცე ერთობას!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობას, მათ ერთიან რევოლიუციონურ ფრონტს!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ახალი ამბები

— **სათეატრო განყოფილების წარმომადგენელი რუსეთში.** საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სათეატრო განყოფილების რუსეთში წარმომადგენლათ დაინიშნა ვახტანგ მჭედლიშვილი.

— **1901 წელში დაბადებულთა საყურადღებოთ.** განათლების კომისარმა დაუგზავნა მის ქვემდებარე დაწესებულებებს ცირკულიარი, სადაც წინადადებას აძლევს დაწესებულების ადმინისტრაციას თვალყური ადევნონ, რათა ის მოსამსახურენი, რომელნიც დაბადებულნი არიან 1901 წელს გამოცხადდენ თავის დროზე სადგურის ქუჩა № 24. აღნიშნული ცირკულიარი ეხება ტფილისს და ტფილისის მაზრას. რაც შეეხება დანარჩენ მაზრის მცხოვრებთ, ისინი უნდა გამოცხადდენ იმ დღეს და იმ ადგილას, რაც იქნება ნაჩვენები სათანადო განცხადებაში.

— **უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელთან და კონსულებთან მიწერ-მოწერის შესახებ.** განათლების კომისარიატი აცნობებს სახელმძღვანელოთ, რომ ყველა უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელთან და კონსულებთან მიწერ-მოწერის დროს უნდა მიმართონ მხოლოდ ა. კ. ფ. ს. რ. გარეშე სახალხო კომისარიატს.

— **ბრძოლა ჭლექის წინააღმდეგ.** ჯანმრთელობის კომისარიატი 3 მაისიდან მართავს ჭლექის კვირეულს. პირველათ დღე კვირეულისა გაიმართება გამოკვების წარმოების დაწესებულებებში.

— **ავადმყოფობა ტფილისში.** ამ ბოლო ხანს ტფილისში ავადმყოფების რიცხვი საკმარისად გაიზარდა. მეტი წილი ავადმყოფების მშრომელი ხალხია: მუშა, საბჭოთა მოსამსახურე და სხვ. ავადმყოფების პირველ რიგში არიან: ფილტვების ანთება, მალარია, პარტახტიანი და მუცლის ტიფი და სხვა.

— **ახალი ტარიფი.** პირველ მაისიდან იცვლება ტარიფი რადიო-ტელეგრამებზე. ევროპაში გასაგზავნი სიტყვა რადიო-ტელეგრამისა ღირს—ნახევარი მილიონი, დანარჩენ ქვეყნის სახელმწიფოებში თითო მილიონი. საბჭოთა ფედერაციაში კი შინაური ტარიფით.

— **ტელეგრაფის შეკეთება.** საქართველოს რესპუბლიკის ტელეგრაფის შესაკეთებლად გადაიდო 110 მილ. მან.

— პრეზიდიუმმა დაადგინა განათ. სახ. კომ. ალმასკომის გამგებლობაში გადმოსული ბაღი-რესტორანი გაიცეს იჯარით საერთო წესების მიხედვით.

— **დახმარება.** ცეცხლის მქრობელთა რაზმის თანამშრომელ დენისოვს ხსენებულ თანამდებობაზე 35 წლის მუშაობის გამო—პრეზიდიუმის დადგენილებით მიეცა ერთდროული დახმარების სახით სამი თვის ჯამაგირი.

— **ციებახთან ბრძოლა.** ვინაიდგან ყარაიაზის რაიონში და საბურთალოზე ძალიან გახშირდა მალარიით ავადმყოფობა, ტფილისის ალმასკომმა დაადგინა: აღნიშნულ რაიონებისათვის შეიძინოს 450 კილი ქინა-ქინი.

— **ბირჟა.** 30 აპრილს ფინანსიალური ინსტიტუტის ოქროს თუმნიანი ლირა 14.200.000 მანეთი, ჩერვონეცი—8.200.000 მანეთი; გირვანქა სტერლინგი ეფექტივი—8.650.000 მანეთი; ჩეკი—7.550 ათასი მანეთი; დოლარი ეფექტიკი—1.975.000 მანეთი; ჩეკი—1.775.000 მან; ოსმალური ქაღალდის ლირა—1.300.000 მანეთი; იტალიური ლირა—850 ათასი მანეთი., ფრანკი—110 ათასი მანეთი.

— **აფრ. ჯაფარიძის იუბილეს გამო.** ტფილისის ალმასკომმა დაადგინა მიეცეს აფრასიონ ჯაფარიძეს მისი 50 წლის საპედაგოგიო მოღვაწეობის გამო 50 მილიონი მანეთი.

— **კოოპერატიულ ბანკის ბინის შესახებ.** ალმასკომმა დაადგინა ის ბინა, რომელიც ამ ჟამად უჭირავს კოოპერატიულ ბანკს და მის თანამშრომლებს, დარჩეს ბანკის განკარგულებაში და განთავისუფლებულ იქნას კერძო მდგომარეობის ჩასახლებისაგან.

— დღეს, 1-ლ მაისს, დილის 10 საათზე ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნ. სამმართველო ვერის დალმართზე (მოედანი) № 6, ხსნის უმუშევართა სასადილოს. სასადილოს გახსნაზე მოწვეული არიან საქ. კომ. პარტ. ტფილისის კომიტეტის, საქ. პროფკავშირთა საბჭოს, ტფილისის ალმასკომის წარმომადგენლები და შრომის ბირჟის კომიტეტის მთელი შემადგენლობა.

— 4 მაის, 1-ლ სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში, ხ. ჭიჭინაძე სხვათა შორის, წარმოსთქვამს სიტყვას ოსმალეთის საქართველოს და გულო ალა კაიკაისშვილის ცხოვრების შესახებ.

მოთვლილი იქნება ქართველთ მაჰმადიანთ ის სოფლები, სადაც დღესაც კი, აქ მცხოვრებთ შორის დაცულია ქართული ენა და ქართველი მაჰმადიანებიც ქართულად ლაპარაკობენ, ქობულეთის თემში, ქვედა აჭარას, ზეგანს, მაჭახელს, ლივანის ხევს, მუხულ..ს ხევს, იმერ ხევს და სხვაგანაც.

გულო ალა კაიკაისშვილის მოღვაწეობა 60 წლის განმავლობაში, ოსმალოს მთავრობის დროს, მისგან ქართული ნიადაგის მომზადება და ქართული ენის მფარველობა და ამ ენის სასარგებლოდ მხურვალე ქართული სამსახური.

— **ხიმინდის რეალიზაცია საზღვარ-გარეთ.** პურის დამამზადებელ კომიტეტმა დაადგინა პირველი პარტია ქართულ სიმინდისა—30.000 ფუთი საზღვარ-გარეთ სარეალიზაციოთ.

— **ვაჭრობა სპარსეთთან.** ბაქოში იარმარკის დროს გაიხსნება თათბირი სპარსეთის სავაჭრო ფირმის ყველა წარმომადგენლების საბჭოთა რესპუბლიკებთან სავაჭრო კავშირის შეკვრის გამო.

ცნობები ლაზეთის შესახებ.

იმპერიალისტურ ომის პერიოდში ლაზეთის განთავისუფლების სურვილი და თან საქართველოს კენ ლტოლვა ფრიად სერიოზული და ძლიერი იყო.

920 წელს თბილისში ლაზების განსაკუთრებული დელეგაცია მოვიდა.

919 წელს ლაზების წარმომადგენლები პარიზშიც იყვენ, იმპერიალისტურ ომის დროს ლაზების განმათავისუფლებელი კომიტეტი ევროპაში იყო, მაგრამ იგი ლაზ-კომერსანტების ერთგვარ სამხედრო ორგანიზაციას წარმოადგენდა და ხალხთან ორგანიული კავშირი არა ჰქონია.

ლაზი-ინტელიგენტები სტამბოლში ჩახვლეტ შემდეგ ახალგაზრდა ოსმალთა გავლენის ქვეშ ექცეოდა და დიდ თანამდებობებს იღებდენ.

ლაზისტანის განთავისუფლების საქმეს უმთავრესად მეთაურობდენ ე. წ. ემიგრანტები და მორევოლუციონერო ელემენტები.

916 წ. რუსეთის აგენტები ლაზებს ურჩევდენ ამბოხებას და სომხურ დამშაკურ გზით სიარულს, რის საფასოდაც ლაზებს ჰპირდებოდენ ეროვნულ თავისუფლებას.

მაგრამ ლაზებმა ეს რჩევა არ მიიღეს. ამ ჟამად ლაზურ მოძრაობას უწინარეს ყოვლისა რევოლუციური ხასიათი აქვს, მოძრაობას აპიროვნებენ მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდები რომელთა განათლება მიუღიათ ოსმალეთის გარეთ.

გარდა ამისა ლაზურ მოძრაობის ყველა მეთაურნი პერსონალად უბრალო მშრომელ ხალხის შვილები არიან (ზოგი სოციალისტია).

გეოგრაფიულად ზღვასთან მდებარეობა და თან ლაზების ნაოსნობის პროფესიული ტრადიციული მიმდევრობა თავისთავად უწყობს ხელს ლაზისტანში ახალ-ახალ და ცხელ ამბების შეტანას. მუდმივი მიმოსვლა უცხო ნავსადგურებთან ლაზებს უხელს თვალს და აცნობს ახალ ქვეყნებს...

მე არ შევეხები ლაზების მემორანდუმს რომელიც მათ 920 წელს წარუდგინეს მთავრობას. ამ მოვიყვანთ როგორც ცნობად, შემდეგს; 920 წელს მე პრესის სახელით ოსმალეთის პასუხისმგებელ წარმომადგენელთან მქონდა საუბარი, ლაზების შესახებ მან სთქვა: „ლაზების საკითხის განხილვისათვის ამ ჟამად ამინდი ხელს არ გვიწყობს"...

ჩვენ არ ვიცით დღეს რას ლაპარაკობენ რევოლუციურ ანგორის მესაჭენი, მხოლოდ სინამდვილე კი ასეთია რომ ლაზისტანში ეგზეკუცია სდგას როგორც ამ შენიშვნის კილოდან მიხვდებოდა მკითხველი ჩვენ არ გვინდა ლაზისტანის საკითხი იმ რიალისტურ პოლიტიკოსებს ჩაუვარდეთ ხელში, რომელნიც არ დაზოგამენ მას, მსგავსად სომხეთის ელეტა-ხოცვის ჟამი დაუყენონ. ამიტომაც არ, რომ ჩვენ აქ სრულებით არ ვიხსენიებთ სევრის ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ლაზისტანი ეროვნულ თავისუფლას ღებულობს.

ჩვენ ვნატრობთ, რომ რევოლიციურმა ოსმალეთმა რევოლიუციურივე გზით სამართლიანად მოაგვაროს საქართველოს ხალხის მოძმე ლაზების საკითხი.

ᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲗᲐ

მიწა-ტყის კავშირის კულტგანყოფილების ანგარიში მარტის თვის განმავლობაში

სახელმძღვანელო ნივთების დაგზავნა კულტ-განყოფილებამ აღმოსავლეთ საქართველოს სახ. მამულებთან არსებულ სკოლებს დაუგზავნა სკოლაში სახელმძღვანელო ნივთები.

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა. დათვალიერებულ იქმნა კულაშის სახ. მამული. ახლო მომავალში განზრახულია გაიხსნას წერა-კითხვის უცოდინართა ორი სკოლა სომხურად და თურქულ ენაზე, რის წყალობითაც იქნება მოსპობილი წერა-კითხვის უცოდინარობა კულახის სახალხო მამულში.

ახალი სკოლის გახსნა. გახსნილი იქნა ნავთლულის ეკონომიაში წერა-კითხის უცოდინართა სკოლა სომხურ ენაზე, სკოლაში მეცადინეობა დაწყებულია და სისტემატიურათ მიმდინარეობს.

სკოლა ღვინის სარდაფთან. კულტ-განყოფილების გამგემ დაათვალიერა ღვინის სარდაფთან წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა დათვალიერების შემდეგ გამოირკვა, რომ სკოლაში მომუშავე პირნი საკმარისად მომზადებულნი არიან. დანიშნული იქნა უკანასკნელი გამოცდა 15 აპრილისათვის, რის შემდეგ, სკოლა დაიხურება რადგან ღვინის სარდაფში წ.-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია უკვე მოხდენილია.

ახალ სკოლების გახსნა. კულტ-განყოფილების მიერ გახსნილ იქნა მიწად-მოქმედების კომისარიატში, ორი სკოლა ჯგუფობრივი ხასიათის ქართულ და რუსულ ენაზე.

ქ`ᲠᲗᲣᲚ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲯᲐᲠᲨᲘ

სამობილიზაციო პუნქტში. სააგიტაციო და კულტორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელი გაწვეულია სამობილიზაციო პუნქტში სამუშაოთ. ახლად გაწვეულთათვის იმართება კითხვა, მსჯელობა, მოძრავი სამკითხველო და სხ.

ცენტრარმკლუბში. ვინაიდგან კლუბის წრეების ყველა ხელმძღვანელი გაწვეულია სამობილიზაციო პუნქტში სამუშაოთ, ამიტომ კლუბის ჩვეულებრივი მეცადინეობა დროებით შეწყვეტილია.

ცენტრალურ სამკითხველოში. წარსულ მარტის თვის განმავლობაში ცენტრალურ სამკითხველოს ჰყავდა მკითხველი 1000 მეტი წიგნი. ყოველ დღიურათ სამკითხველოში იყო არა ნაკლებ 35.

მზადდება წიგნ მაისისათვის. პირველ მაის განზრახულია ჯარის ნაწილებში მოწყობილ იქმნას ფართო დღესასწაული. თვით ცენტრარმკლუბში გაიმართება კითხვა და ლექციები მომენტის და პირველ მაისის დღესასწაულის შესახებ. საღამოს კლუბის თეატრში გაიმართება ინსცენიროვკა რევოლიუციონურ შინაარსით.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ამერიკელების კონცესია მოსულში. „ჩიკაგო ტრიბუნის“ ცნობით ანგორის ეროვნულმა ყრილობამ 185 ხმით წინააღმდეგ 21-სა, დაამტკიცა მოსულის ნავთის კონცესიის პროექტი, რომლის დამტკიცებისთვისაც აწარმოებდენ მუშაობას ამერიკელები. ადმირალი ჩესტერი და პოლკოვნიკი გეტელი. გაზეთის ცნობით, კონცესიის ვადა 99 წელი არის. ოსმალეთის მთავრობის სახელით საკონცესიო ხელშეკრულება მოწერილია პრემიერ რაუფბეის მიერ.

— **სუეცის არხი 1922 წელს.** გემების მოძრაობამ 1922 წელს სუეცის არხით, როგორც უკანასკნელად, გამოქვეყნებულ ცნობებიდან სჩანს, არა თუ მიაღწია მშვიდობიანი დროის (1913 წ.) დონეს, არამედ გადააჭარბა კიდეც მას 10 პროცენტით. მშვიდობიანობის დროს გერმანია ინგლისს შემდეგ იდგა აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობის საქმეში და მას მეორე ადგილი ეკავა მსოფლიო კომერციულ ფლოტში. ვერსალის ხელშეკრულების ძალით გერმანიას ჩამოერთვა თითქმის მთელი ფლოტი. რადგან მას დაუტოვეს მხოლოდ 10 პროცენტი მთელი მისი სავაჭრო გემებისა და ისიც ყველაზე უფრო პატარა გემები. მაგრამ ამის შემდეგ დაიწყო თავისი კომერციული ფლოტის აღდგენა და მოკლე ხანში იმდენს მიაღწია, რომ 1922 წელს მას ეკავა უკვე მეექვსე ადგილი იმ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც საზღვაო ვაჭრობას სუეცის არხით აწარმოებენ. დიდმა ბრიტანეთმა შესძლო გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნება და ასწია კიდეც თავისი ტრანსპორტი. შეერთებული შტატები, რომელიც 1913 წ. თითქმის არც კი შესამჩნევი სუეცის არხით მოვაჭრე სახელმწიფოთა შორის, 1922 წელს უკვე გერმანიის შემდეგ სდგას. ყურადღებას იპყრობს იტალიის საზღვაო სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერება; საინტერესოა აგრეთვე ფაქტი იაპონიის სავაჭრო ინტერესების განვითარებისა. იმ საქონლებიდან, რომელთა გადატანა სუეცის არხით მნიშვნელოვანათ გაძლიერდა, ყურადღებას იპყრობს ნავთი და ნავთის პროდუქტები,—რომელიც სპარსეთიდან ინგლისში მიდის. 1913 წელს ეს პროდუქტები გატანილი იყო სულ 688.000 ტონნა, 1922 წელს კი—2.001.000 ტონნა, ე. ი. სამჯერ მეტი.

— **იაპონიის საგარეო ვაჭრობა.** 1922 წელს იაპონიამ შესძლო დასვენება იმ ეკონომიური კრიზისის შემდეგ, რომელიც მძვინვარებდა 1920—21 წლებში მთელ მსოფლიოში და რომელმაც იაპონიასაც საგრძნობი ზარალი მიაყენა.—ახლა იაპონიის მეურნეობა თანდათან მაგრდება და ეს სავსებით სჩანს მისი საგარეო ვაჭრობის მდგომარეობაში. განსაკუთრებით ხელსაყრელი გახდა იაპონიისათვის ის გარემოება, რომ აბრეშუმის გატანა ჩინეთიდან შესამჩნევათ შემცირდა, ხოლო იაპონიამ, აბრეშუმის დიდი მოსავლის გამო, 1922 წელს შესძლო დიდი რაოდენობის გატანა. საერთოდ, იაპონიის საგარეო ვაჭრობა შემდეგ ციფრებში ისახება (მილიონი იენი):

	შემოტანა	გატანა	დანაშთი
1921 წ.	— 1614 —	1253—	361
1922 წ.	— 1859,2—	1594,8—	254,4
„ პირველი ნახევ.	— 1106,7 —	717,4 —	388,3
„ მესამე მეოთხ.	— 416,9 —	434,0 —	+ 17,1
„ ოქტომბერი	— 106,7—	161,9—	+ 55,2
„ ნოემბერი	— 116,9—	140,5—	+ 23,6
„ დეკემბერი	— 113,0—	141,0—	+ 28,0

ᲓᲦᲔᲡ ᲕᲛᲦᲔᲠᲘᲗᲘ ᲣᲕᲔᲚᲐ

პირველი მაისი.

მშრომელთ სამყარო დღეს იზეიმებს
და შეიმოსვის წითელის ფერით...
დღეს ჩემი ჩანგიც დასჭიმავს სიმებს
და აჟღერდება ტკბილი სიმღერით...
იქ, დასავლეთში დღეს ჩვენი ძმები
სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლას გამართავს
და ბრძოლის ველზე მშრომელთ რაზმები
წითელ ხასხასა დროშას აღმართავს.

—

აქ კი ფრიალებს დროშა წითელი
და გამარჯვების ვიხდით აღლუმებს.
მოვიგეთ ბრძოლა უკანასკნელი
და მტრები აწი ვერ დაგვადუმებს...
ჩვენ აღარ დავსვამთ აწ არვის ღმერთად;
დღეს ძველ ღმერთებსაც ჩავქოლავთ ქვებით...
ხვალ დასავლეთის ჩვენ ძმებთან ერთად
კვლავ ბრძოლის ცეცხლში გადავეშვებით!

და ავაფეთქებთ ძველ სიმაგრეებს
ძველის ცოდვებით ხავსმოდებულებს
ჩვენ ჩვენის მტრებს დავთელავთ დღეს
და წესს ავუგებთ დამარცხებულებს!
და გაიმარჯვებს მშრომელთ სამყარო;
მოკვდება დრტვინვით ქვეყანა ძველი;
დადგება შრომის დრო სანეტარი
და სიხარული აუწერელი...

—

დღეს კი ბრძოლისთვის კვლავ ვემზადებით
და ვაწყობთ შრომის მძლე ავანგარდებს.
ცეცხლურ აღგზნებით და თავ-დადებით
ხვალ ის მთელ ქვეყნად გაინავარდებს!..
...და დღეს ჩვენ ვხარობთ მომავლის ბედით;
მაღლა ვსწევთ დროშას წითელის ფერით.
დღეს ჩვენ გული გვაქვს სავსე იმედით
და ვმღერით უველა ტკბილი სიმღერით.

ი. შრომიშვილი.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

„ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲭᲝᲠᲔᲑᲘ“

(სამაისო)

„მორიგი ჭორები“.. ასეთი იყო სახელი მეტად გავრცელებულ და ცნობილ გაზეთის, რომელიც დროს და ადგილის მიუხედავათ, ნაგრამ ყველგან და ყოველთვის გამოდიოდა და ამასთანავე უფასოც იყო. ხალხი, ნამეტნავად უსაქმო, ამ გაზეთს მეტად კეტანებოდა, რადგან მას არა სჭირდებოდა არც აღალდი, არც საბეჭდავი მანქანა, არც მკითხველი... „მორიგი ჭორები“ მეტად საოცარი მოვლენა იყო ჟურნალ-გაზეთთა შორის და უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენდა ბეჭდვითი საქმის ტეხნიკაში. თვითეული ნომერი უთვალავი გამოცემისა საკუთარ ფეხებზედ დაიარებოდა და საკუთარი ენა ჰქონდა. უხილავი რედაქცია დღე და ღამ მუშაობდა, თუმცა რედაქტორი და თანაშრომლები არავის ჭარ ენახა არც ერთს მალაზიას, არც ერთ მეგზურთეს არ გაუყიდნია არც ერთი ნომერი ამ გაზეთისა, ნაგრამ კითხვით კი ყველა კითხულობდა... „მორიგი ჭორები“ გამოდიოდა ყველგან, სადაც კი უსაქმო ხალხი მოიპოვებოდა და საკვირველი იყო ის, რომ ერთ და იმავე დროს ამ გაზეთს კითხულობდნენ: ლონდონში, პარიზში, სტამბოლში და საქართველოში.. მხოლოდ უსაქმო ქართველების ტფილისში საკმარისი იყო მხოლოდ რუსთაველის პროსპექტზე გასვლა და რომელიმე უსაქმო ჯგუფთან მიკედლება; თქვენ მაშინათვე გაიგებდით „მორიგი ჭორების“ ახალ ამბებს: ევროპის დიპლომატიის საიდუმლო ნაბიჯზე, საცოდავ რუსეთის თავგადასავალზე, საქართველოს მომავალზე, ბზის დაბნელებაზე, მთავრობის დაღუპვაზე, კუდიან ვარსკვლავზე და სხვა და სხვა ცხელ-ცხელ ამბებს, რომელიც „მორიგი ჭორების საკუთარ რადიოს მოსდიოდა, როგორც რადიო-ჭორები! საკვირველი ცნობები იყო ხოლმე „მორიგ ჭორებში“, საკვირველი მისი ფელეტონები ფანტაზიის საუცხოვო მარგალიტებს წარმოადგენდა და ქრონიკა სინამდვილის და ლოლიკის ზიარება იყო!.. რას არ ამოიკითხავდა უსაქმო კაცი „მორიგ-ჭორებიდგან“!? მაგალითად, საქართველოს სჭირდებოდა მაშველი ჯარები—და „მორიგე ჭორების“ რედაქცია მაშინათვე გადმოჭსხამდა დესანტს ბათომში და ბათომი აივსებოდა „ფერად ჯარებით“, რომელნიც დიდებულმა ანტანტამ პატარა საქართველოს გამოუგზავნა... საშველად და სახსნელად... იმ ანტანტამ, რომელმაც, თუ ჯერ არ დაგავიწყდათ, ტრანსვალს და ირლანდიასაც გაუგზავნა ასეთი ჯარები.. საშველად და სახსნელად.. თუ ვინმე მოიწადინებდა ამბოხებულ რუსეთის ღამშვიდებას „მორიგი ჭორების“ რედაქცია თვალის დახამხამებაზედ შემოარტყამდა რუსეთს 3000 ჯავშნიან დრედნოუტების ალყას და ბუზსაც კი აღარ გადააფრენდა რუსეთში! აუარებელი უზარმაზარი ზარბაზნების ტუჩს პირდაპირ რუსეთის შუა გულს მოსკოვს დაუმიზნებდა და 24 წუთში ანადგურებდა!.. საცოდავ საქართველოს ხომ მოსვენება აღარა ჰქონდა: საშინელ ამბებისგან მოქალაქეებს გაუფრთხათ ძილი და საშინელების მოლოდინში ღამეებს ათენებდნენ. ადამიანის სახე აღარავის აღარ ჰქონდა: ყველა გიჟსა ჰგვანდა და გიჟივით გარბოდა... ცოლი ქმარს ველარა ჰსცნობდა, შვილი—მამას.. ქუჩაში ჩაფიქრებული ვერ გაივლიდით თქვენ საქმეზე,—მაშინათვე ჯაშუშათ გამოაცხადებდნენ.. საყვარელ ქალს კარებთან ვერ მოუცდიდით ნამეტნავად ბინდისას,—ჩეკისტად ჩაგთვლიდნენ... ცხვირს ააცემინებდით პუანკარეს ანლოიდ-ჯორჯის ხსენებაზედ—მოღალატედ ჩამთვლიდნენ! მოკლე ფეხებიან ტყუილს დაიჭერდით და იქვე გაანადგურებდით—ანარქისტად გადაგაქცევდნენ! კიდევ ბევრ გვარ სისულელეს წამოჭრიდა საშინელ ჭორებისაგან მოწამლული და მთლად დამთხვეული ხალხი.. კიდევ ბევრი ჯაშუში, ბევრი ჩეკისტი, ბევრი მოღალატე და ანარქისტი მიემატებოდა საცოდავ საქართველოს... მაგრამ ბედმა გაუღიმა.. გუშინ, შუა-ღამისას, საკუთარ ჭორებისაგან მოწამლულ ატმოსფერაში დაიხრჩო სიცოცხლითვე წაწყმედილი, მორიგი ჭორების რედაქტორი ვრალმან უსაქმოვეიჩი ჭორაძე. სამი წუთის შემდეგ მას გამოუდგა მისი ერთად-ერთი ერთგული თანამშრომელი და თანამოაზრე მისტერ ლინგ სპეკულიანცი „მორიგი ჭორების“ რედაქციამ სული დალია: გაიფანტა ტყუილების ბუქი და ჭორების კორიანტელი.. 1-ლი მაისის მზე რომ ამოხვიდა, ყველგან გაზაფხულის დღესასწაული სუფევდა: ახალგაზრდა, ლამაზი, სავსე სიხარულით და ბედნიერებით... მშრომელი ხალხი ფუტკარივით გამოშლილიყო და შრომის ვარდებს შეჰხაროდა... შრომის დღესასწაულზე უსაქმო ჭორიკანებს ადგილი აღარა ჰქონდათ. „მორიგი ჭორები“ აღარავისთვის საჭირო აღარ იყო...

გენო ყორჩიბაში.

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ

ამერიკის ყველაზე მსხვილი ტრესტი.

ამერიკის ყველაზე მსხვილი ტრესტი ამჟამათ არის „ტელეფონის და ტელეგრაფის ამერიკული საზოგადოება“. მიმდინარე წლის 27 მარტამდე ყველა ტრესტის სათავეში იდგა ფოლადის და სანავთო (სტანდარდ-სილი) ტრესტი, მაგრამ ახლა ტელეფონ-ტელეგრაფის ტრესტის ძირითადმა კაპიტალმა გადააჭარბა უმსხვილესი ტრესტის კაპიტალს 50 მილიონი დოლლარით და მიაღწია კოლოსალურ ციფრს—მილიარდ დოლლარს.

ტელეფონის და ტელეგრაფის ამერიკული საზოგადოება შესდგა კომპანიების შეერთებიდან, რომელიც დაარსებული იყო ალექსანდრე ბელლის მიერ (ტელეფონის მომგონი; რომელიც დიდი ხანი არაა რაც გარდაიცვალა), ნიუორკის ტელეფონის კომპანიის და სხვა ტელეფონის და ტელეგრაფის 24 საზოგადოებისა. ომის დროს ეს კომპანია, ისე როგორც რკინის გზები მთავრობის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო 1921 წელს ამ კონტროლიდან განთავისუფლდა. ჯერ კიდევ მაშინ ტელეფონ ტელეგრაფის ტრესტის ძირითადი კაპიტალი 600 მილიონ დოლარს შეადგენდა და ის საზღაპრო მოგებას აძლევდა თავის აქციონერებს. მარტო 1922 წლის განმავლობაში საზოგადოებამ დახარჯა 186 მილიონი დოლარი ტელეფონისა და ტელეგრაფის ქსელის გასაფართოებლად. ამასთან აღსანიშნავია, რომ ამავე მიზნისათვის ომამდე, ამდენივე თანხა იყო დახარჯული 10 წლის განმავლობაში. 1922 წლის განმავლობაში საზოგადოებამ დადგა 6.000.000 ახალი ტელეფონის აპარატი და თავისი აპარატების საერთო ციფრი 15 მილიონამდე აიყვანა; აქედან 1,8 მილიონი მარტო ნიუ-იორკზე მოდის.

ნიუ-იორკის კამპანია საერთოდ სამსახურს უწევს 15 მილიონ მცხოვრებს. ნიუ-იორკსა, ნიუ-ჯერსისა და კონნეტიეში საშუალოდ ყოველ მეოთხე მცხოვრებს აქვს ტელეფონის აპარატი. ერთი დღის განმავლობაში აქ ხდება 8.300.000 ლაპარაკი ტელეფონით, რისთვისაც კამპანიას ყავს მოსამსახურეთ 25.000 ქალიშვილი და 12 000 კაცისაგან შემდგარი ტეხნიკური პერსონალი. ეთელი პერსონალი შესდგება 28.000 პირისაგან, რომელთა პირველდაწყებითი სამუშაო ხელფასი 12 დოლლარს შეადგენს კვირაში, ხოლო საშუალოდ 30 კვირაში. ნიუ-იორკის კამპანიის მარტო ნიუ-იორკში ქონდა 500 სხვადასხვა შენობა და საერთო შექნა 600 ცენტრალური ტელეფონის სადგური. ნიუ-იორკის და მისი მიდამოების ტელეფონის და ტელეგრაფის მავთულის სიგრძე შეადგენს 6.800.000 ინგლისურ მილს. ეს მავთულები მზადდება ტრესტის კუთვნილ ქარხანაში, რომელიც წელიწადში 2 ნახ. მილიონ მილ სპილენძის მავთულს ამზადებს. მიუხედავათ ტელეფონის ქსელის გაფართოება, ნიუ-იორკში მაინც შეუწყვეტლივ არის დანაკლისი ტელეფონებში და ახალ აბონენტებს უხდებათ ნახევარი წლობით ცდა, სანამ მათ ბინებსა და კანტორებში ახალ აპარატებს დასდგამენ.

საინტერესო მოვლენა ტელეფონის განვითარების საქმეში არის ის გარემოება, რომ ტელეფონების საშუმლებით ხდება თითქმის ყველა ტელეგრამის გადაცემა, რომლებიც ამერიკაში ფაქტიურათ ტელეფონოგრამებს წარმოადგენენ. ეს იწვევს ტელეფონის ქსელის განუწყვეტელ ზრდას ტელეგრაფის ხარჯზე, რომელიც თუმცა იზრდება, მაგრამ არა იმ ფარგლებში, როგორც ტელეფონის ქსელი. ტელეფონის საშუალებით არის მოწესრიგებული ამერიკის მთელი საქმიანი და კერძო ცხოვრება; ასე მაგალითად, ამერიკულ სასტუმროებში ყოველი ნორმიდან შეიძლება უშუალოთ შეერთება ქალაქის ტელეფონის ცენტრალურ სადგურთან და არა მარტო სასტუმროს ცენტრალურ სადგურთან, როგორც ეს ევროპაში არის.

ამ ბოლო დროს ამერიკაში შემჩნეული არის ზარალის პროცესის ზრდა, რომელსაც აყენებენ ფირმებსა და კერძო პირებს, უწესრიგო ტელეფონის შეერთებით ან ამ შეერთების დაგვიანებით. კამპანიის ანგარიშში აღნიშნული არის, რომ ის რადიკალურ ზომებს იღებს, რათა აბონენტთა შეერთების სისწორე და სიჩქარე შეუფარდოს ამერიკული ცხოვრების საერთო ტემპს. დიდ დავას იწვევს საკითხი ე. წ. ავტომატიური შეერთების შესახებ. ერთი მხრით ამ რეფორმის შემოღება, რომელიც საშუალებას აძლევს ერთ აბონენტს შეუერთდეს მეორეს ცენტრვლურ სადგურის საშუალების გარეშე, დიდ ეკონომიას გამოიწვევდა პერსონალში; მაგრამ მეორე მხრით საჭირო იქნებოდა ბელლის სისტემის ყველა აპარატების გადაგდება, რომელიც გავრელებულია ამერიკაში და მათი შეცვლა სავსებით ახლით, რაც რასაკვირველია აუწერელ ზარალს წარმოადგენდა ტელეფონის ტრესტისას, რასაც ეს უკანასკნელი მთელი ძალღონით ეწინააღმდეგება.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ბ. სკოლების შეკეთება—შეფობა სკოლებზე

პრინციპიალად ეს საკითხი თავის-თავად იგულისხმება,—და ჩემითად არის გადაჭრილი. სკოლების შეკეთების შესახებ პრესა ხშირად ლაპარაკობს მაგრამ სამწუხაროდ ამ მიმართულებით ჯერ-ჯერობით პრაქტიკას თითქმის არაფერი გაუკეთებია და ჩვენ ვფიქრობთ იმ წესით რა წესითაც აქამომდე ვსცდილობდით დანგრეულ სკოლების შეკეთებას—აღდგენას რეალად არაფერი გამოვა და ჩვენ ისევ ვიდგომილებით გატეხილ ვარცლის წინაშე. სკოლების რემონტის რეალ საყოფად რაიმე რადიკალ ზომად ჩვენ გვინდა დავასახელოთ სკოლებზე შეფობის აღება. ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა სავაჭრო სამრეწველო და საფინანსო დარგებმა უნდა იკისრონ სკოლების შეფობა. შეფობის ხარჯებისათვის ზემოაღნიშნულთა სხვა და სხვა ორგანოებმა განსაკუთრებული საშემოსავლო ოპერაციებიც რომ აწარმოონ ეს არ იქნება დანაშაული, ვინაიდან სკოლებისათვის ზრუნვა უდიდესი საქმე უნდა იყოს ყველა შეგნებულ მოქალაქისათვის.

საქართველომ გენერალი ბრძოლა კულტურულ ფრონტზე უნდა აწარმოოს, კულტურული სრული ყოფა მიანიჭებს ჩვენს ქვეყანას მარადიულობს, რომლის უპირველესი საწინდართაგანი არის სკოლა. ყველამ უწყის რომ ჩვენი სკოლა დღეს ბედშავ პირობებშია, მას არ აქვს სკამი, მაგიდა, დაფა, მის შენობად დარღვეული კედლებიღაა წარმოდგენილი, რომელშიც სხვა და სხვა მხრის ქარს დუელი აქვს გამართული.... რა თქმა უნდა ეს უმთავრესად ითქმის პროვინციის სკოლებზე. ასეთ სინამდვილეს გიმოვსთქვამთ ჩვენ შეფობის შემოღების საკითხს და მისკენ მივაქცევთ ცენტრის ყურადღებას.

ირ—დი.

საუბარი გლეხთან

ლობიო და მისი დამუშავება

ლობიო ერთ წლოვანი ბუჩქისებური მცენარეა. იგი ეკუთვნის ცერცვოვან მცენარეების ჯგუფს, აქვს სამყურიანი ფოთლები და მისი ყვავილები, ისე როგორც ამ ჯგუფის სხვა მცენარეებისაც, გასაფრენათ გამზადებულ პეპელას წააგავან. ყვავილებიდან შემდეგ ვითარდება პარკები, რომლებშიაც მოთავსებულია რამოდენიმე მარცვალი,

ყვავილი, პარკი და მარცვლები სხვა და სხვა ჯიშის ლობიოებს სხვადასხვანაირი ფერისა და მოყვანილობისა აქვთ.

ჯიშების სიმრავლით და მრავალფეროვანებით ლობიო სჯობნის თითქმის ყველა დანარჩენ სასოფლო მცენარეებს და სხვა და სხვა ქვეყნებში მათი რიცხვი რამოდენიმე ათასს აჯობებს.

ჯიშები განირჩევიან ერთი მეორისაგან, გარდა ყვავილების, პარკების და მარცვლების ფერისა და მოყვანილობისა, აგრეთვე დამწიფების სიჩქარით, სიმაღლით, მსხმოვიარობით, გამძლეობით, ხარშვის უნარით, გემოთი და კიდევ ზოგიერთი სხვა თვისებებითაც.

ეს მრავალფეროვანება საშვალებას აძლევს ლობიოს თითქმის მთელ დედამიწის ზურგზე გავრცელდეს (ცივი ადგილების გამოკლებით), რადგან იშვიათია ისეთი ადგილები და პირობები, რომლის შესაფერისი ლობიოს ჯიშის გამოძებნა შეუძლებელი იყოს.

ლობიოს ყველაზედ უფრო სიცივეების ეშინია თუ სიცივემ ნულ გრადუსზე ცოტა დაბლა დაიწია, სრულებით მოსპობს მას. ამის გამო ლობიო უნდა დაითესოს ცოტა მოგვიანებით, როდესაც ადრეული ყინვების და დილის თრთვილის შიში გაივლის.

იგი ითესება თითქმის ყველა დანარჩენ სასოფლო სამეურნეო მცენარეებზე უფრო გვიან, დაახლოვებით მაისის უკანასკნელ რიცხვებში.

ლობიოს თესვენ უმთავრესად მწკრივათ, ან ხელით—ბუდობრივ. ბუდეში ითესება 2—4 მარცვალი. თუ ლობიო მარტო ითესება, მაშინ რიგებს შორის ნახ.—სამი მეოთხედი არშინის სტოვებენ (კუტი ლობიოსათვის) და დაახლოებით 1 არშინს სარის ლობიოსათვის.

მწკრივათ თესვის დროს თესლათ ერთი დესეტინისათვის საჭიროა 5—8 ფუთი, ან ცოტა მეტი, თუ ლობიო მსხვილმარცვლოვანია.

ბუდობრივ თესვის დროს ამისი ნახევარი საკმარისია.

თუ ლობიო სხვა მცენარეებთან ერთად ითესება (მაგალითად სიმინდთან. კართოფილთან, ბამბასთან, ან სხვა რომელიმე მცენარესთან), მაშინ უფრო თხლათ ითესება და ამიტომ ოესლიც ნაკლებია საჭირო.

ლობიოს უყვარს საშვალო სინესტის ნიადაგები. ამიტომ ნესტიან ადგილებში მისთვის კარგია მსუბუქი ნიადაგები, რომლებიც წყალს ადვილათ უშვებენ. ხოლო მშრალ ადგილებში უმჯობესია მკვრივი ნიადაგი. ლობიოსათვის, კარგია კირნარი ნიადაგი, რადგან ლობიო მას ძალზედ საჭიროებს. კარგათ მოდის ლობიო აგრეთვე შავ მიწაზე და მსუბუქ თიხნარზე.

სასუქს დანარჩენ ცერცვოვან მცენარეებზე უფროს საჭიროებს, თუმცა ახლად დასუქებულ ნიადაგზე მისი თესვა არ შეიძლება. კარგია მისი თესვა დასუქებიდან მეორე—მესამე წელიწადს.

ნიადაგი ლობიოსათვის კარგია შემოდგომიდანვე მოიხსნას. ზამთრის ყინვები კარგათ იმოქმედებენ მასზე. დათესვის წინ კი საჭიროა ნიადაგის დაფარცხვა და სარეველ მცენარეებისაგან გაწმენდა.

ზაფხულის განმავლობაში სჭირდება რამოდენიმეჯერ გამომარგვლა და გამოთოხვნა, რის დროსაც კარგია, თუ მცენარეებს გარშემო მიწას შემოვაყრით. მშრალ ადგილებში მიწის შემოყრა ზედმეტია.

იშვიათია ლობიოს ისეთი ჯიშები, რომლებიც ერთ დროს მწიფდებოდენ. ამიტომ ხშირად საჭიროხდება მისი ორჯერ მოკრეფა.

პირველად კრეფენ მაშინ, როდესაც, პარკების ერთი ნაწილი დამწიფდება. მეორეთ კი,—როდესაც დანარჩენი პარკების უმთავრესობა დამწიფებულია.

ამ დროს უმეტეს შემთხვევაში ძირიანათ თხრიან ლობიოს და ერთ ადგილას უყრიან თავს გასახმობათ. შემდეგ ფშვნიან ჭოგრების შემწეობით

ზოგიერთ ადგილებში მიღებულია ლობიოს დაფშვნა საქონლის შემწეობით, მოქუჩებულ ლობიოს პარკებზე ატარებენ საქონელს, რომლებიც თავისი ჩლიქებით ძალიან კარგათ ფშვნიან მას.

ერთ დესეტინაზე საშვალოთ მოდის 50—130 ფუთამდე ლობიო ჯიშისა და მარცვლების სიდიდის მიხედვით. თუ სხვა მცენარეებთან არის დათესილი, მაშინ მისი მოსავალი 25—50 ფუთს უდრის.

ლობიოს საბაზრო ფასი ხორბლეულ მცენარეების ფასს აღემატება ამასთანავე მათზე უკეთეს მოსავალს იძლევა. ამიტომ მისი თესვა-მოყვანა ძალიან ხელსაყრელია ჩვენებური მშრომელი გლეხისათვის.

(მიწის მუშა)

გ. ა—ძე.

ბიბლიოგრაფია

შალვა სოსლანი „ტფილისი".

გამოცემა—საკმაოდ ესთეტიური, ყდა—სადა; ქაღალდი—კარგი და შეფარდებული შრიფტი. გამოცემა 1923 წ. ტვერდი 30; ღირს 80 ათასი.

შალვა სოსლანი ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში ახალი სახელია. თავისი შემოქმედებითი პოტენციის გამოცდა ავტორს საკუთარი წიგნით მოუსურვებია, რაც იშვიათი თავდაჭერაა და მეტი სიფრთხილე პასუხისმგებლობისადმი.

შეიძლება აჭით აიხსნება, რომ ეს ახალი წიგნი ახალგაზრდა ავტორისა უკვე რამოდენიმე თვეა უცდის ობიექტიურ დამფასებელს.

ჩვენი კულტურის საბედისწერო მოვლენად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე კრიზისი ქართული წიგნის. უცხოეთის ლიტერატურამ აბსოლიუტურად დაიპყრო ბაზარი და საშუალო მკითხველის მინიმალურ მოთხოვნილებათა წინაშეც კი უძლურია ახალი ქართული ლიტერატურა. ასეთს მდგომარეობაში ყოველი ახალი ნაბიჯი, რა ინტენსივობისა და სიმძიმისაც არ უნდა იყოს ის, საჭიროებს გამოხმაურებას პრესიდან.

„ტფილისი" მინიატურათა კრებულია. ეს ეანრი ჩვენს მხატვრულ პროზაში დამკვიდრდა უკანასკნელ ათეულ წლებში. იგი, როგორც ლოგიური დასკვნა რომანის გადაშენების პროცესისა, ჩვენი ლიტერატურისათვის ნაადრევი მოვლენაა. რადგან საქართველოში ჯერ კიდევ არ შექმნილა ტიპი დიდი რომანის, ყოველ შემთხვევაში იმდენათ დამთავრებული, რომ შესაძლებელი ყოფილიყოს დეკადანსზე ფიქრი.

საერთოთ პროზის ბედი ჩვენში უიმედო გამოდგა. ლექსმა დაჩრდილა იგი და გაუსწრო იმდენად, რომ შეიქმნა უხერხულობა პოეზიის (ლექსის) განვითარება საქართველოში მივიდა სიმბოლიზმამდე. ამ სკოლამ დასავლეთის პროზაში გააბატონა ფორმა მინიატურის, რადგან იქ სიმბოლიზმამდე უმწვერვალესობას მიაღწია ბელეტრისტიკის სხვა ჟანრებმა და განსაკუთრებით რომანი ზოლასა და ფლაბერის კალამს ქვეშ მომწიფდა იმდენათ, რომ უეჭველად საჭიროებდა რეაქციას. ეს რეაქცია იკისრა დასავლეთის სიმბოლიზმმა და ჩვენშიაც ამ სკოლას თან მოჰყვა მინიატურული პროზა. მიუხედავად ქართული პროზის ევოლიუციისა.

როგორია პროზის პრესპექტივა ჩვენში? ეს პოეტიკისათვის გადაუჭრელი პრობლემაა ჯერჯერობით. ზოგი დიდ ტანიან რომანის შექმნაზე ოცნებობს კიდევ. ამ მხრივ რამდენიმე ცდაც არის სხვა და სხვა credo-ს ბელეტრისტთა მიერ, მაგრამ ჩვენის ფიქრით ამ იდეის გამართლების იმედსაც კი ვერ იძლევიან. სხვები მინიატურის გზით განაგრძობენ სვლას.

მესამე აზრი, რომელიც თანდათან მეტი პოპულიარობით და გავლენით იკიდებს ფეხს ლიტერატურულ წრეებში, ეს პროზისა და პოეზიის შორის არსებულ ციტადელთა წამლა და მათი ურთიერთში გადასვლაა. ეს უნდა მოხდეს ერთის მხრივ პოეზიაში დაკანონებულ ფორმათა უარყოფით და თავისუფალი ლექსის დისსიმეტრით პროზასთან დაახლოვებით, ხოლო სტილით და ჩამოქნილ რიტმით პოეზიისაკენ ლტოლვით.

დავუბრუნდეთ ბიბლიოგრაფიის საგანს. შალვა სოსლანი უეჭველად შეიძლება ჩაითვალოს იმ მიმართულების მიმდევრათ მხატვრულ პროზაში, რომელსაც დღეს სანდრო ცირეკიძე ამაგრებს და მეთაურობს.

ჩვენი დაფასება სოსლანის წიგნისა იქნება ობიექტიური მიუხედავად შკოლისა და განსაკუთრებით ყურადღებას ვაქცევთ იმ სიმპტომებს შემოქმედებითი ნიჭისას, რომელსაც იძლევა ხსენებული წიგნი და რომელთა აღმოჩენა საკმარისია ამ წიგნის როგორც დებიუტის გამართლებისა და უფრო მეტის მოლოდინისათვის.

წიგნის სათაური, თუმცა არაა ახალი, გამართლებულია შინარსით. სათაური უნდა იყოს შემოქმედების სულის უკიდურესათ შეკუმშული ასახვა. და მართლაც მთელი საწყისი იმ განცდათა და პოეტურ ემოციათა, რომელიც მოცემულია ხსენებულ წიგნში არის **ტფილისი**, სადაც სოსლანის ფანტაზიას ახელებს როგორც ახალი კულტურის ელვარებით გაჟღენთილი ქუჩა, ისე ბუმბერაზობისა და ისტორიულ ტრაგიზმის მისტიკით მოცული მთაწმინდა, მეტეხი, მტკვარი—წიგნში მოთავსებულია თექვსმეტი მინიატურა. საჭირო არაა მათი განხილვა ინტერპრეტაცია ცალცალკე. შევეხებით მხოლოდ ზოგად თვისებებს.

ყოველი ცალკე სათაური თავისებურია, უცნაური და კულმინაციურათ დაშორებული ჩვეულებრივობას; სანიმუშოთ დავასახელებთ: „მე, ჭინჭველა და ოცდაათი ვერცხლი", „კუბო კურტანით", „მზის სიყვარული თითის ტარით", „ქვეყნიერება, პალესტინა და სასწორი"... ყოველ მინიატიურაში გამდგარია ბურუსი მისტიურობის—რომელიც მოითხოვს გრძნობებით და ემოციებით მისვლას სტრიქონებთან, ეს დამახასიათებელია სიმბოლისტურ შკოლისა.

თითქმის ყოველ სტრიქონში გამართულია მეთოდი სიმბოლიკისა და ანალოგიების. შედარებათა სიმდიდრით დატვირთულია მთელი წიგნი.

მთელი წიგნი განცდაა ტფილისის სხვა და სხვა შთაბეჭდილებანი, ცვალებადი პეიზაჟები, სახეები ამონაკვთული ხატვრულათ.

სურათების ხაზვა იმპრესსიონისტული გზით.

რაც შეეხება სტილსა სოსლანს აქვს განსხვავებული სტილი. საკმარი დახვეწილიც—არის ცდა ლაკონიური თქმის და წინადადების დაყვანისა სიტყვამდე. სტილის მხრივ საჭიროა მეტი დამუშავება—ეს უკვე ტეხნოლოგიაა შემოქმედებისა. ავტორს ემჩნევა გარდა საკმაო ინტუიციის სათანადო კულტურაც, რაც მნიშვნელოვანია შემოქმედებაში.

მინიატიურები მიძღვნილია მნიშვნელოვან პიროვნებითადმი, რომლებთანაც ავტორი მიდის შემოქმედებითი ინტიმით. მათი უმრავლესობა არის უკვე ცნობილი სახელები. იმ ლიტერატურული შეხედულისა რომელსაც ჩვენ მიგვაჩნია წიგნი—„ტფილისი".

თვეების დალაგება, რომლითაც ისაა დალაგებული, არის პოეტის სუბიექტიური დამოკიდებულება დროსთან და მის მომენტებთან.

ჩვენ არ გვსურს ეს წიგნი დასრულებულათ ჩავთვალოთ. ეს არც საჭიროა და არც შესაძლებელი. როგორც ზევითაც ვსთქვით, ჩვენ მას უცქერით როგორც პირველ ცდას და ამ მხრივ მიგვაჩნია გამართლებულათ და მისაღებათ...

ვეფიქროფთ: სოსლანს აქვს მომავალი; იგი წავა უფრო შორს საკუთარი გზით. ამის იმედს სავსებით იძლევა „ტფილისი".

ბანი.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘ

ბენეფისები. რუსთაველის თეატრში მაისის თვის განმავლობაში გაიმართება ბენეფისები შემდეგი მსახიობებისა: ნინო დავითაშვილის (მადამ სანჟენ). გიორგი დავითაშვილის („ჰამლეტი"), ნ. ჯავახიშვილის (ორი ობოლი), პ. კორიშელის (იულიოს კეისარი), დონაურის მარიამ სტიუარტი), ნ. გვარაძის (სურამის ციხე) რეჟისორის თანაშემწეთა—დ. ანთაძის და გველესიანის და სხვ.

საოპერო მსახიობ ივანე სარაჯიშვილის იუბილე. სახელმწიფო ოპერის თეატრში მაისის 16-ს გაიმართება ივანე სარაჯიშვილის იუბილე მისი 20 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

რეჟისორ ტუგანოვის იუბილე. 20 მაისს რუსთველის თეატრში გაიმართება დამსახურებულ რეჟისორის ტუგანოვის 30 წლის იუბილე. წარმოდგენილ იქნება ა. სუმბათაშვილის პიესა „ჯენტლემენი" არჩეულია საგანგებო კომისია ამ იუბილეის მოსაწყობად.

საბავშო თეატრი. კვირას აპრილის 29-ს ყოფილ ქართულ კლუბის თეატრში სოციალურ აღზრდასთან არსებულმა საბავშო თეატრის დასმა ჯ. გველესიანის და ანთაძის რეჟისორობით გამართა მორიგი წარმოდგენა. წარმოადგინეს ვალერიან გუნიას პიესა—ზღაპარი „მზეთ-უნახავი". თეატრი სავსე იყო პატარა ბავშებით.

გაზ. მწვერვალი. რედაქციამ მიიღო ბათომის გაზეთ „მწვერვალის" მორიგი (3) ნომერი.

„ლომისი". გამოვიდა მწერალთა კავშირის გაზეთ „ლომისის" მორიგი (33) ნომერი.

წერილი რედაქციის მივართ.

გთხოვთ მოათავსოთ „ტრიბუნაში", რომ მე დღიდან სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის გაყოფისა ორ ფრთად 1921 წლიდან ვადევნებდი თვალყურს ორივე ფრთის მუშაობას და დავრწმუნდი, რომ მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია არის ნამდვილი სოციალისტური და გადავწყვიტე ჩავეწერო და ვიმუშაო ამ პარტიაში მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

სახალხო მასწავლებელი **ბათლომე ტაგუსძე ჯანია.**

1905 წლიდან მე ვიზიარებდი და თანაუგრძნობდი საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიას. 1921 წ. გადატრიალების შემდეგ მოხდა პარტიის გაყოფა ორ ფრთად. მე კი დავრჩი ორგანიზაციის გარეშე დღემდის. ვინაიდან ნე ვიზიარებ არჩილ ჯორჯაძის მოძღვრებას და სოცსალისტურ რევოლიუციის პლატფორმას, მსურს ვიმუშაო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებთან ერთად.

ანტონ ალექსის ძე გეგელია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲛᲘᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ.

რომ თანახმად საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა მიმდინარე წლის 23 აპრილიდან № 89, ქალაქებში და ქალაქთა მოსახლეობაში გადიდებულია 1922 წლისათვის აღრიცხული საშემოსავლო გადასახადის რაოდენობა შემდეგ ნაირად: ა) იმ პირთათვის, რომლებიც იხდიან ამ გადასახადს 20 კატეგორიამდე—ამ კატეგორიითურთ—გადასახადის რაოდენობა გადიდებულია ორჯერ; ბ) დანარჩენ გადამხდელთათვის გადიდების რაოდენობა სანსაზღვრულია სამჯერ.

ყველა ქალაქის და ქალაქთა მოსახლეობის მცხოვრებნი, რომლებიც დაიბეგრენ საშემოსავლო გადასახადით 1922 საგადასახადო წლისათვის ვალდებულნი არიან შეიტანონ მათზე შეწერილი გადასახადი გადიდებითურთ ხაზინაში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 მაისისა, რომლის შემდეგაც იქნება მიღებული მკაცრი იძულებითი წესები შეუტანელ გადასახადის ასაკრეფად.

გადასახადის გადიდების შესახებ გადამხდელებს ეცნობებათ იმ განცხადებით ხარჯის ფურცლების დაუგზავნელად.

იმ პირთ რომლებმაც უკვე გადაიხადეს პირველად აღრიცხული 1922 წლის გადასახადი და აგრეთვე საურავი, უკანასკნელთ ჩაეთვლებათ ძირითად გადასახადში და ამისათვის ისინი ვალდებულნი არიან შეიტანონ ხაზინაში განსხვავება ახლად აღრიცხულ გადასახადის და შეტანილ გადასახადის და საურავს შორის.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში

ბ. ბიბინეიშვილი.

გადასახადთა განყოფილების მმართველის მოადგილე

ა. ბეზირგანიშვილი.

№ 329—1—1

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ქალაქის აღმასკომის საფინანსო განყოფილება საყოველთაო საყურადღებოთ ამით აცხადებს, რომ ა. წ. 1 მაისიდან ყოველ-გვარ გადასახადების ასაკრეფ ოქროს მანეთის კურსათ ქალაქის აღმასკომი იხელმძღვანელებს წინა დღის ოფიციალურ ოქროს მანეთის კურსის მიხედვით.

საფინანსო განყოფილების გამგე ᲤᲘᲐᲚᲙᲝᲕᲡᲙᲘ.

№ 327—3—2.

ტირაჟი 1000 ... ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 233 საქართვ. ფმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა „რუზენშტეინის ქუჩ. № 2